საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ (+) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის არჩილ კოჭლამაზაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით), დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (1 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 თებერვლის №1/14 განკარგულებით, კანდიდატებად დარეგისტრირდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირები, მათ შორის – არჩილ კოჭლამაზაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოვახდინე კანდიდატის შეფასება. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და თავად არჩილ კოჭლამაზაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ არჩილ კოჭლამაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შეესაბამება კომპეტენტურობის კრიტერიუმის

მახასიათებლებით: „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „დ“ წერის უნარი; „ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი; „ზ“ პროფესიული თვისებები; „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ი“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, არჩილ კოჭლამაზაშვილს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მივანიჭე 90 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 15 აპრილის №1/37 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - არჩილ კოჭლამაზაშვილი. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა არჩილ კოჭლამაზაშვილის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად არჩილ კოჭლამაზაშვილს მხარი დავუჭირე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ვასილ მშვენიერაძე

24 აპრილი, 2025 წელი